

მწყმესი



მე ვარ მწყმესი კეთილი: მწყმესმან კეთილმან სული თვისი დაჰსდღეს ცხოვართთვის. იოან. 10-11.
შავეც ცხოვარი ჩემი წაწმედული. მსრულ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15-4.
შავევლი ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11-28.

№ 3

1883—1905

15 თებერვალი

1922

მწარამ ფიქრები.

ერთმა შორეულმა თანამომხმემ მომწერა 1886 წელში: ჩვენს საზოგადოებაში ხრწნილება უკვე დაწყებულიაო. ჩვენ ევკის თვლით შეგებდეთ ამისთანა მის აზროვნებას. მან მრავალი მოსაზრებით და ფაქტებით დაგვიმტკიცა ჩვენ, რომ სწორეთ ხრწნილება უკვე დაწყებულია და საზოგადოებაზე დამოკიდებული ამ ხრწნილების მალე ან გვიან დასრულებაო. თავის აზრის დასამტკიცებლად, სხვათაშორის იწერებოდა იგი: როცა შენიშნათ საზოგადოებაში ცრუ მელიდურება, ამარტავენება, ფარისევლობა, მლიქვნელობა, მიეთ-მოეთობა, უმართლოება, სიმართლის დაფარვა, სიცრუის პარპაშეება, სიტყვით თქმა და საქმით არა-ქმნა, დაპირება და არ ასრულება, სიტყვით ძიობა და საქმით მტრობა,

ყველა ამისთანა სამწუხარო მოვლენანი ცხადი ნიშნებია საზოგადოების განხრწნილებისაო. რომ დავაკვირდები საზოგადოების დღევანდელ ცხოვრებას მართლა შიში ამიტანს ხოლომე. წინათ არ ყოფილა ის, რაც დღეს არის, არ გვემენია და არ გვინახავს ის რაც ეხლა გვემის და რასაც ეხლა ხედავთ... ჩვენ არას მოგახსენებთ სხვის ნათქვამზე და გაგონილზე ნალაპარაკებს. ჩვენ მოვასხენებთ იმაზე რაც დღეს ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთებში საქვეყნოთ, ასეთი გაბედვით, ყველას საცნობელად ბეჭდავენ. რას არ წაიკითხავთ ზოგიერთ ჟურნალ-გაზეთებში. მუნჯებას მტკრემტყველებათ, უგუნურებს გონიერებათ და სულელებს ბრძნებად აგვიწერენ! ეშმაკს ანგელოზად გვიხატავენ, ანგელოზებს ეშმაკით სახვენ. სიტყვით ერთს გვეუბნებიან საქმიით-კი სულ სხვას ფიქრობენ; ერთის გამარჯვება და მარცხებათ ითვლება



და მეორის დამარცხება გამარჯვებით. ესლანდელი დროის ფარისევლებმა და მწიგნობრებმა ბევრად გადაჭარბეს ქრისტეს დროის ფარისევლებს და მწიგნობრებს. ქურდის, ფულბლის მკვრებელს და მატყუარას წმიდანთ გვიანებენ და საზოგადოების მზრუნველად და თავდადებულად ავიწიერენ. საზოგადოების მზაგვრელს და შემაწუხებელს საზოგადოებისთვის თავდადებულად და გმირებად გვისურათებენ და საზოგადოების მზრუნველთა—ხალხის მტრად. ცხოვრების ბევრმა იარებმა იჩინეს თავი. რა უნდა ედღონოთ, რა ზომები ვიხმაროთ ამ იარების და წყლულების მოსარჩენად? ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ეს იარები კარგად შეგვიხიოთ და დავიფაროთ, არაფის ვაჩვენოთ. მაგრამ არა, ამით კაცი სხეულის იარებს ვერ მოირჩენს. ჩვენ ეს იარები კი არ უნდა დავფაროთ, და შევახიოთ, არამედ სახვევი ავხალოთ, ყველას ვაჩვენოთ, რომ რიგიანი მალაქო გვირჩიონ იარების მოსარჩენად. არ შეიძლება, რომ ამ იარების წაღობა არავინ იცოდეს და საშველი მალაქო არ აღმოგვიჩინონ. უნდა იცოდეს ყველამ, რომ წყლურება, იარები უმალამოდ შეკრული და შესვეული უფრო მატყულობს, მთელ სხეულს აუნებს და საზოგადოების კეთილ-დღეობას უსპობს.

*

დიდი ხანი არ არის რაც ჩვენს იმერეთში გაჩნდა ფილოქსერა. ამ საშინაო მწერმა გაანადგურა ჩვენი ვენახები და ამით მოუსპო ჩვენს ხალხს ერთ-ერთი სიმდიდრის წყარო. შეიქნა ერთი ალიაქითი და გამოძიება იმაზე, თუ საილგან გაჩნდა ჩვენში ეს საშინაო ჩვენი ვენახის ძირების მწერი? ყველამ გამოსთქვა თავისი აზრი და ბოლოს თითქმის უმეტესობა დაირწმუნდა, რომ ფილოქსერა ჩვენში გადმოვიდა საფრანგეთიდან, რადგან ვენახები პირველად იქ გაანადგურა. საფრანგეთიდან ბევრს მოქონდა ღერწები და სხვა-და-სხვა კარგი ჯიშის ხეხილები და, რასაკვირველია, მათ გადმოყვა. შორაპნის მახრის განსვენებულ უმფროსი ეფიმოსკი ვერაინ დააჯერა ამში. ის ამტკიცებდა, რომ ფილოქსერა ჩვენში ბისმარკმა გააჩინა. ის გვეხარბებოდა ჩვენ მშვენიერ ვენახებს და კარგ ღვინის მოსავალს, ამისთვის მან ჩასვა რამდენიმე შუშის კოლოფში ფილოქსერა და გამოიტანა თავის სანდო კაცს ჩვენს ვენახებში გასაშვებადო. შურით აღვისლობა ბისმარკმა ეს მოგვიჩვენა ჩვენ და შორაპნის მახრაში გაავრცე-

ლა პირველად და აქედან სხვაგანაც გავრცელდაო! თქვენ რომ დაგწყებდა ამაზე ლაპარაკს ვეღარ უსაჯერებდით და ითქმის დავარწმუნებდა ამ თვის უსაფუძვლო მოფიქრებაში. საწყალი ბისმარკი! აქნება მან კიდევ არ იცოდა ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ვენახები!..

სწორეთ ეფიმოსკის მოგვაგონებენ ზოგიერთები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ იაპონიამ თექვსმეტი მილიონი მანეთი გამოუგზავნა ჩვენ მუშებს ვაიოცვის მოხდენისათვის და ამით ვითომ იაპონიას ხელს შეუწყობდნენ ომის საქმეში! ჯერეთ მთელ ქვეყანას უმტკიცებენ, რომ იაპონიის სალდათები შიმშილით და სიცივით კვდებიან, რადგან ფულბები გამოვლით და სასესხებელი ვერ იშოვებსო. იაპონიის ტყუილებს ნებას ვაძლევთ დაბრუნდნენ თავის ქვეყანაშიო, მაგრამ აღარ მიდიან, ამბობენ აქ უფრო კარგად ვართ და საქმელს ვშოვობთო. ჩვენში რომ წაყადეთ შიმშილით დავიხოცებითო! შემდეგ ამისა ამბობენ, რომ იაპონიამ ჩვენ მუშებს თექვსმეტი მილიონი მან. ფული გამოუგზავნა გაფიცვის დროს ხარჯისთვისაო! რომელი უნდა ერწმუნოს კაცი? სწორეთ ნამდვილია ჩვენი ხალხის თქმულება: „რეგენი საქმეს წაახდენს ფათარაკს დაბარალბს“ო. ვისაც რა სურს ის ილაპარაკოს, მაგრამ ხალხი ესე აღარ მოტყუვილდება დღეს.. დიად, ჩვენს უჯუტურებას, ჩვენს უკოლინარობას, ჩვენს გაუგებლობას ხან ეშმაკებს ვებრალოთ და ხან იაპონელების და ინგლისელების ვერაგობას!.. დროა გამოვხვილდეთ, დროა შევივინოთ, დროა ქუა ვისწავლოთ. დროა ვკითხოთ ჩვენს თავს რად გავჩენილვართ ამ ქვეყანაზე და რაში მდგომარეობს კაცის გაჩენის და ცხოვრების მიზანი?

*

ჩვენი რკინის გზის მოძრაობის საქმე დღეს სწორეთ საშუაბო სურათს წარმოადგენს. ბარგის მოძრაობა თითქმის სულ შესწყდა, დადის მხოლოდ სახალხო მატარებლები, მაგრამ ისე ნელა, რომ ცხენით წასვლა სჯობს საურმე და საცოლფებო გზები რომ არ წაებდნათ და არ მოეშალათ. შორაპნის მახრის ხალხს დიდს ტანჯვით და თავში ცემით მარგანეის საზიდავად მშვენიერი საურმე გზა გააკეთებინეს. ამ გზაზე რკინის გზა გაიყვანეს და ხაზინა მდიდრდება და გლეხები კი უშობობა მეტის მეტად იტანჯებიან.

სიოფის სუცესი.

თ. სვიატოლაძე-მარსკის გამოთხოვება.

27 იანვარს ენდარმების კორპუსის ეკლესიაში გადაიხადეს პარაკლისი, რომლის შემდეგაც თ. სვიატოპოლკ-მირსკი განოთხოვა თანამოსამსახურეებსა და ხელქვეითებს. მღვდელმა მამა რახმანმა ამ შემთხვევის გამო მოხდენილი შემდეგი სიტყვა წარმოასთქა:

„თქვენო ბრწყინვალეებო, ღრმად პატივცემული თავად პეტრე დიმიტრისძე! ყ-დ შემძლებელმა ღმერთმან კაცობრიობის გულის ფიცარზე დასწერა წმიდა დიდი სიტყვები ცხოვრებაში და მოქმედებაში სახელმძღვანელოდ: იფარებოდა უთრავრასანს. მაგრამ ეს ღვთის სიტყვები ამა ქვეყნის მოებათა გამო ზოგიერთებს სრულდებით ამოიღი აქვთ გულიდან და დაფიწყებული, და ამისთანა კაცები ხელმძღვანელობენ თავის ცხოვრებაში არა ამა მცნების სიყვარულობით, არამედ ცხოველური გრძობებით. ზოგიერთების გულში ეს ოქროს სიტყვები ძლივს ბუტბუტენ მათ ცხოვრებაში და მათი მოქმედებაც უფერული და უთანასწოროა: ხან ასრულდებიან იგნი ღვთის მცნებას, ხან ემორჩილებიან თავის არა წმიდათა სურვილს და ზორცოვლ მოქმედებას. მაგრამ არაან რჩეულნი ღვთისანი, რომელთა გულში სიტყვები მოკვასთა შეყვარებისა დიდათ ბრწყინავენ ქვეყანაზე და მოქმედება ამისთანა ღვთის რჩეულთა ღრმა კვალს ტოვებს ცხოვრებაში. ამისთანა კაცების სიახლოვეს სხვანი, პპობენ სიხარულს, ნუგეშს ამისათვის, რომ მათგან მიიღებენ ძალას თავის მოქმედებისათვისაც.“

ამისთანა რჩეულთ ეკუთვნით თქვენც, თავადო. და იყოს კურთხეული სახელი მათი საუკუნიდან და უკუნისამდე. თქვენო ბრწყინვალეებო! ამ წმიდა ტაძარში შეიკრიბნენ ყველა თქვენი თანამოსამსახურენი, რომელთაც არ შეეძლოთ და არც სურდათ გაესტუმრებოთ თქვენ გზის დაულოცავად.

გულნი ყველა აქა მლოცველთა თქვენ თაყვანს გცემენ და მორიდებით თავს იხრიან მსგავსად ყვავილთა, რომელნიც თავს უხრიან მოალერეს სხივით მოსილ აღმომავალ მზეს, ამისათვის რომ იგინი ეღვიდენ შენში კეთილ კაცსაც, სიყვარულობით აღესილ უმფროსსაც და ბრძენ მმართველსაც. აქ ამ ეკლესიაში სდგავს მთეთელი მოაზროვნე რუსე-

თი, რომელნიც ვედრებიან ღმერთს თქვენთვის, ამისათვის რომ გულთი იგრძნეს; რომ თქვენ ხართ ის კაცი, რომელმანაც თავისუფალი გზა მისცა მიწის ქვეშ დიხანს მჭკფარე ცოცხალ წყაროს და გადმოდინდა ამ წყაროდან რუსეთის მიწის მაკოცხლებელი ნაკადული. წამოცოცხლდა, იღვიძებს დღეობისათვის. დღეობა ახალი ცხოვრების დრო რუსეთის ხალხისათვის. და რომელ ძალას შეუძლია ამ ნადულის შეჩერება. არ მოიხოვება ასეთი ძალა, რადგან ეს ნაკადული ქვეყნის უძლიერეს ძალის—სიყვარულის გამოყვანილია.


მიიღეთ, თავადო, თქვენი კეთილთა, პატრონურის და ბრძნული სამსახურისათვის ჩვენი უმდაბლესი თაყვანი და გულწრფელი მადლობა. თქვენ სტოვებთ შინაგანი საქმის მინისტრის თანამდებობას, მაგრამ თქვენი სახელი როგორც შინაგანი საქმის მინისტრისა დიდის ასოებით იქნება აღნიშნული რუსეთის ხალხის ცხოვრების ისტორიაში. ჩვენ გეთხოვებით თქვენ, მიიღეთ ეს ხატი სიყვარულის უდიდესი მასწავლებლისა რომლის მცნებით თქვენ ყოვერთვის ხელმძღვანელობდით თქვენ ცხოვრებაში და სამსახურში. გვაპატივეთ თავადო, ნახვამდის! მაგრამ დიხანს! ღმერთმან უწყის.

ამ სიტყვების შემდეგ მამა რახმანინმა გარდასცა მაცხოვრის ხატი თავად სვიატოპოლკ-მირსკის.

ხატზე იყო დაწერილი: „ღრმად პატივცემულს, ძვირფასს თავადს პეტრე დიმიტრისძეს სვიატოპოლკ-მირსკის, ცხოველი სიყვარულობის გრძობით აღსავსე მის ყოველ თანამოსამსახურეთაგან შინაგან საქმის სამინისტროსთვის. 26 ავგუსტოს 1904 წ. 19 იანვარი 1905 წ.“

თავადმა მადლობა უთხრა თანამოსამსახურეებსა და ხელქვეითებს შრომაში დახმარებისათვის და ბოლოს სთქვა:

„მშვიდობით, პატონებო! მაგრამ არა: მშვიდობით კი-არა, ნახვამდის! იმედ ზიქვს კიდევ შეგხვდებით.“





ბ. კალმის კრტიკოლა.

იანვრის თითხმეტი რიკვის „ცნობის ფურცელში“ წავიკითხეთ ბ. კალმის მოკლე წერილი სათაურით: „დღევანდელ დღესასწაულის გამო“. პატივცემული ავქსონი თავდაპირველად აღნიშნავს იმ დიდ ღვაწლს, რომელიც მიუძღვის წმ. ნინოს ქართველი ერის წინაშე და შემდეგ გულნატკენად იძლევა კითხვას: „რისთვის უნდა იყოს მიუტყვევებელი დანაშაულობა, რომ ქართველი ბავშვები დღეს არ წავიდნენ სკოლაში? განა თვითონ ამ სკოლის პირდაპირი მოვალეობა არ აჩის აღზარდოს მოსწავლეებში პატივისცემა შესანიშნავად ამიანებისადმი?.. იმიტომ, რომ ჩვენ ქართველები ვართ და წმ. ნინო იყო ჩვენი, ქართველების, განმანათლებელი“?..

ღიდი დანაშაულობაა, ზნეობრივი სიბრძნე და უჯაობაა, როდესაც მოზარდი თაობის სარწმუნოებრივ და ზნეობრივ განვითარებას პოლიტიკანობით და გულგვლარძნობით აფრობენ, აბრკოლებენ, ამახინჯებენ და უდგავენ წინ სამარცხვინო ღობეებს. სწორეთ გასაკვირი და საგმობია სასწავლებელთა გამგებლების საქციელი თუ მართლა იგინი აბრკოლებენ ამ მხრივ ჩვენ შვილებს, მაგრამ ამაზე რაღასა ბძანებთ, რომ ჩვენ, მოსწავლეთა მშობლები, რომლებიც თავისუფალნი ვართ შკოლური რეჟიმისაგან, დასაგმობი, სამარცხვინო, თავმოსაქრელი და, თუ არ გამიძრისხდებით, ბილწებით აღვსილი საქციელით ვეკიდებით ჩვენი განმანათლებელის ხსენების დღეს? ვინ გადაგვიდგა წინ და არ გავიფიქრა მკვლესიაში იანვრის 13 საღამოთი, რომ თავხანი გვეცა ჩვენი გამჭირსტიანებელის პატიოსანი ხატისათვის, მოგვესმინა მისი საღმრთო მოღვაწეობის პოეტურად გამოთქმული, ქართველ მამათაგან დაწერილი, დაუჯდომელი, პატარა-ხან მაინც გვეთხოვებინა ყური იმ დიად საგულისხმო საკითხავებისათვის, რომლებიც ყველა პუკარში იხსენიებენ ქართველ ერს, უტყბენ მას ღვთის მოყვარებას, აღიდგენ მის მალღ ზნეობრივ მოქალაქობას და შესტრფიან მის ენას? ავიღოთ მაგალითად თუგინდ ქუთაისი, რომელშიაც ოცდაათი ათასი მართლმადიდებელი ქართველი მინცა მკვიდრობს. იანვრის ცამეტ ქუთაისის ეკ-

კლესიები სულ ცარიელები იყო და, გრდა სამღვდელეობისა, არა; ს არ მოსვლია აზრათ ლოცვისა და ცისკრის მოსენა; ასევე ცარიელები იყო ეკლესიები თითხმეტსაც წირვის დროს. ვგონებ, ამაზე უკეთესი სანახავი არ იქნებოდნენ ეკლესიები გორში, დუშეთში, თბილისში, თელავში, სიღნაღში, ფოთში, ბათუმში და სხვაგან. რითი მტკიცდება, რომ ქართველ ინტელაგენტისაგან ესპის ესტორიული მნიშვნელობა ქრისტიანობის გაავრცელებისა ჩვენში? რატომ განათლებული ქართველების ქაჰანება არ იყო საღამო ლოცვაზე და ცისკარზე, როდესაც იგინი თავისუფლნი არიან სავალდებულო სამსახურისაგან?

ბ. კალმის მსჯელობით გამოდის, რომ მხოლოდ მოსწავლე ქართველი ბავშვები შეადგენენ ქართველ ერს და სკოლის ბაკის გარეშე მყოფ ქართველ ქალთა და ვაჟთა, მოხუცებულთა, ქაბუკთა და ყრმათა რაოდენობა მოძულებული გერია ერისა, იგი სახეში მისაღმეც არაა, მას არც რამ მოეთხოვება და არც რამ ესაყვედურება. იმ დროს, როდესაც მთელ აღმოსავლეთ-დასავლეთ საქართველოში ქალაქებში და სოფლებში, თავდანი და გლეხები, ვაჰარები და მიწის მომქმენი, მწერალნი და მჭიფავნი, ექმნი და ვექილი თითქოს ვანგებ გაფიცულან არაფრით არ გაიხსენოთ წმინდა ნინობაო, ბ. კალმი გულამოჯდომით მოსთქვამს და სტირის მხოლოდ იმის გამო, რომ ქართველ მოსწავლე ბავშვებს ნინობა დღეს გაკვეთილებისაგან არ ამთავისუფლებენ! მოდი და ამნაირ მსჯელობას კრკამლაბათ ნუ მიიშენებო! მოდი და ნუ იფიქრებთ, რომ ბ. კალამი დასწრავს ბურნაკებს და აქლემებს კი შთანთქავს?!

ესთქვათ, მოგვედა ღმერთმა, მოხდა სასწაული, გასქრა კალმის მხილება; ყველა სასწავლებლის მმართველებმა მიიღეს სავალდებულო წესად ამის შემდეგ ქართველი მოსწავლეების განთავისუფლება გაკვეთილებისაგან წმ. ნინოს ხსენების პატივსაღმელოდ; მერე რა შეემატება ამით ჩვენ შვილებს? განა მშობლების დღევანდელი სამარცხვინო მაგალითი სულით და ხორციით არ გაბრწნით მათ? ქართულ დარბაზში უკანასკნელი ლურსმანიც არ მოიპოვება წმ. ნინოს სახელობაზე, ქართული კერა ცოცხლთ გაგიგვია ნინოს სახელის გახადენად, ჩვენ, მშობლები,

ზეგნებული მოქალაქობრივი უფლებებით აღჭურვილები ჩინოთაც არ ვაფასებთ ჩვენი განმანათლებლის ამაგს, და რა საშუალებით შეიგნებენ ჩვენი შეილები ნინოს მოღვაწეობის მაღალ მნიშვნელობას, რომელი ძალა აღუძრავს მათ სიყვარულს ნინოსადმი, სწორეთ, რომ დაგვიბრუნოს იგინი სკოლამ ოჯახში ნინოობას? არა, გადავაქციოთ ყველამ ნინოობა ქართველი ოჯახის კულტად, აღვიაროთ იგი უპირველეს საეკლესიო და საეროვნო დღესასწაულად, და მაშინ ნინოობა დღეს ჩვენი მოსწავლე ქალაქური უმეტესად თან გვახლდებიან ტაძარში, მაშინ ვერაფერი სასწავლებელი ვერ დაიკავენს მათ, მაშინ ვერც ერთი მეუღროსე ვერ გაბედავს უბძანოს ჩვენ შეილებს — თითხმეტ იანვარს უმეტესად ვაკეთილდებულ მოდიოთ. იანვრის 14 ქართველი მოსწავლე მიდის გაკეთილდებულ იმისთვის, რომ ქართველი მშობლები თითონ არა დღესასწაულობენ ნინოობას, თითონ მშობლები აძლევენ მიზეზს სასწავლებელთა მეუღროსეებს დაამცირონ და არაფრად ჩააგდონ ქართველთა განმანათლებლის დღესასწაული დღე. სრული სრული სიცრუეა, ვითომც გვაბრკოლებდეს იმემ წმ. ნინოს საჯაროდ უქმობას და, თუ ამას ბედავს ვინმე, ეს მოგვდის ჩვენი ჯაბნობით, სიწაზნდრით და კურდღლური მხდალობით. ქართველი მშობლები, ინტელიგენცია, პრესა—აი ვინ არის მისაჯავი სამარცხენო სვეტზე, რომ ასე უპატიოდ და ველურად ეგპყრობით დღეს ჩვენი განმანათლებლის სახელებს.

ბ. კალაშს თავისი ლახვარი მიუბეჯენია სკოლისთვის და საქმის არსებითი გარემოებისათვის კი ზურგი შეუქცევია; მას, ეტყობა, სახელმძღვანელოდ მიუშენებია იგინი, რომლებიც „იტყვიან და არა ჰყვიან, შეჭვირან ტვირთი მიძიმე და ძნიად სატირთვი და დასევიან მხართა ზედა კაცთასა, ხოლო მათ თითთაცა მათითა არა უნებნ შეძვრად იგე“. რა სარგებლობა უნდა შესძინოს ბ. კალაშის კრტიზლობამ საზოგადოებას, ეს გამოიცნოს თვით მკითხველმა...

შურნალ-გაზეთიანიდან.

ბრძოლა მდ. ხუნსუყე 12—16 ანგასა. გენ. კრივენბერგის არმიამ 12 იანვარს იერიში მიიტანა გენ. ოკუს მარცხენა ფრთაზე. უნდოდა გვერდიდან შემოეღო ოკუს არმიისათვის და ლიოვიანისაკენ წასულიყო. პირველი დღეს კარგა წინ წავიდა რუსის მეორე არმია, მაგრამ სანდებუმ შეაყენა. სანამ რუსები სანდებუს დასტრიალებდნენ გარსა, გენ. ოკუს მაშველი ჯარი მოუვიდა, ამბობენ გენ. ნოვის არმიიდან ორი დივიზიაც მოეშველა და გენ. ოკუმ თითონ მიიტანა იერიში გენ. კრივენბერგის არმიისზე, დაქვრივი სოფლები და პოზიციები წაართვა და დიდს ზარალით ყველგან უკან დაახვეინა.

„რეიტერის სააგენტოს“ ატყობინებენ ტაკიოდან: მარშალი ოიამა იუწყება: ხეგოუტაისთან ბრძოლაში 12—17 იანვარს 100 ათას კაცზე მეტი იღებდა მონაწილეობას. მეტად დიდი სისხლისღვრა მოხდა. ხუთი დღის განმავლობაში საშინელი თოვლებუქი მძინვარებდა, ყინვა 18—20 გრადუსამდე აღიოდა. ერთს წამს იაპონელები დიდ განსაცდელში ჩაცვიდნენ. რუსებმა ხეგოუტაის გარშემო 30 ზაბაზანი დადგეს და იაპონელების პოზიციებს დაუშინეს. იაპონელების მარცხენა ფრთას დიდი ზარალი მოუვიდა და ამ ფრთის განაპირა რაზმმა დროებით უკან დაიხია. მაგრამ იაპონელებს მალე მაშველი ჯარი მოუვიდათ, რუსების იერიში მოიგერიეს და ბოლოს სულა წყალ-გალმა განდევნეს. 15 იანვარს გენ. ოკუმ დილით რუსებს სანდებუსთან შემოიყარა სამის მხრიდან, მედგარი იერიში მიიტანა და თითქმის მთელი რუსის რაზმი გასწყვიტა, ასე რომ მხოლოდ 200 რუსი დაჰნებდა ტყვედ იაპონელებს. თუმცა რუსები რიცხვით მეტნი იყვნენ იაპონელებზე, გენ. ოკუმ დამით საერთო იერიში მიიტანა რუსებზე. იაპონელებმა რამდენჯერმე მიიტანეს იერიში და რუსებს დიდის ზარალით უკან დაახვეინეს. 16 იანვარს დილით იაპონელებმა ხეგოუტაიზე შტურმი მიიტანეს და დილის 10 საათზე აიღეს. რუსის მე-4 ქვეითა პოლკი ამ შტურმის დროს თითქმის მთლად გასწყვიტეს. (ნ. ო.)

X. X.

„ნ. ვინერ ტაგებლაც“-ი სწერს: არავითარი ეჭვი არა, რომ გენ. კუროპატკინის ახალი გლაშქრება მარცხით დასრულდა. იაპონელებმა ყველაგან უკუაგდეს რუსები და რუსებმა ჩრდილოეთისაკენ





დაიხიეს. სამხედრო კორესპონდენტები გადაჭრით ამბობენ, რომ 12—17 იანვარს ბრძოლის დროს რუსებს 10 ათასი კაცი მოუკლეს და ერთი ორად და სამად მეტი დაუტრესო. ეს მეტად საშინელი ზარალია და კაცს არც-კი სჯერა, აიოდენა ზარალი რად უნდა მოსვლოდა რუსის ჯარსია. მაგრამ უნდა იცოდეთ, რომ რუსებმა იაბონელების გამაგრებულ პოზიციებზე მიიტანეს იერიში; რუსები გაშლილ ადგილას, უსაფროდ იბრძოდნენ, იაბონელები-კი საფრებში იდგნენ. მერე, როცა რუსის ჯარმა დილის ზარალით უკან დაიხია, იაბონელები დასდევნენ და უფრო მეტი ზარალი მისცეს. ამას გარდა საშინელმა უინვაპეც ძლიერ დაზარალა რუსის ჯარი.

გენ. კურაშვილი. ბოლო დროს სევილთად ლაპარაკობენ, იქნება რუსის არმიის მთავარ-სარდალი გენ. კურაშვილი თავის თანამედრობიდან გადააყენონ და რუსეთში დააბრუნონ. ჯმატიანი-ს პეტერბურგი კორესპონდენტი დეკემბით იუწყება: პეტერბურგში ხმა დადის, გენ. კურაშვილი და იმის ხელქვეით გენერლებს უთანხმოება მოსდითო. ბეჯითად ლაპარაკობენ, თითონ მთავარ-სარდალს მსურს სამხედროდან გადადგომაო. ვითომ იმის მაგივრად მთავარ-სარდალად მანჯურიაში სამხედრო მინისტრი გენ. სახაროვი დაინიშნება და იმის ადგილას საერო მინისტრის თანამდებობის მინისტრი გლაზოვი დაინიშნებაო. (ს.).

ხმება ზაგსე. „დეილი ქრონიკა“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი წერს: ექვი არაა, რომ რუსეთი და იაბონია მალე ჩამოაგდებენ ზაგსა. თვით გენ. კურაშვილის გადაყენებას-კი კავშირი აქვს ზაგსის ჩამოგდებასთან. რუსეთის წარმომადგენლებს პაროზში დეკემბით მისწერეს, ეცადნით, რომ ინგლისმა დახმარება გაუწიოს რუსეთს და იაბონიასთან საპატიო პირობით ზავი ჩამოაგდებინოსო. (ბ. ვ.)

სხვა გაზეთებიც იუწყებიან, იქნება რუსეთი და იაბონია მალე შერიგდნენო. „ნ. ფ. პრესე“-ს არა სჯერა ეს ცნობები, ყოველ ბრძოლის შემდეგ ავრცელებდნენ ასეთს ცნობებს, მაგრამ აქამდე არც ერთი ცნობა არ გამართლდაო.

იაბონიის ელჩს გაიაშის უთქვამს: „ნ. ვ. ტაგებლატ“-ის კორესპონდენტისათვის: „იაბონია, რაც უნდა ძლიერ მსურდეს შერიგება, პირველი მაინც ვერას დროს ვერ ჩამოაგდებს ზაგსე ლაპარაკს. იმიტომ კი არა, რომ აქამდე ყველა ბრძოლაში

გამარჯვებული გამოდიოდა. არა, მხოლოდ იმ მიზეზით რომ ესლანდელ ომში იაბონია თავის თავს იცავს და ეს ომი რუსეთის პოლიტიკამ გამოიწვია. ინგლისმა კარგად იცის, თუ რა ძლიერ გვინდოდა ამ ომის თავიდან აცილება და რა ბრველილი რამ დაუთმეთ რუსეთს, ასე რომ ზაგსე ლაპარაკი პირველად რუსეთმა უნდა ჩამოაგდოს. მაგრამ ყველაფრიდან სჩანს, რომ პეტერბურგში ომის განგრძობა სქადიან იმ დრომდე, ვიდრე იაბონიას არ დაამარცხებენ. რუსეთის ერთი ესკადრა მადაკასკართან დადის, მეორე ესკადრა ლიბავაში მზადდება, მანჯურიაში ყოველდღე ახალ-ახალ ჯარსა ჰგზავნიან, პარიზში ბეჯითი მოლაპარაკება აქვთ გამართული ახალ სამხედრო სესხზე. იმიტომ იაბონიასმა თვის თავის დაცვა უნდა განაგრძოს“. (ო. ნ.)

გერმანია და რუსეთი. „პტი პარიზი“-ის კორესპონდენტი პეტერბურგში ერთს მეტად გაელენიან რუსეთთან ომის გათავებაზე უსაუბრნია. ამ პირს სწორედ იგივე აზრი გამოუთქვამს, რაც ამას წინაღობა სტატს-სეკრეტარს ვიტეს გამოეთქვა. ამბობენ, ვითომ სტატს-სეკრეტარს ვიტეს მოეხსენებინოს რუსეთის იმპერატორისათვის: როცა გერმანიაში სავაჭრო ხელშეკრულების თაობაზე ვიყავ, იაბონიის ელჩმა ვითომ სურვილი გამოხატა, მზალა ვარ, რუსეთის წარმომადგენელთან ზაგსე მოლაპარაკება გაემართო. სტატს-სეკრეტარს ვიტეს უთქვამს, რუსეთის წარმომადგენელად მე დამნიშნეთ, იმედო მაქვს, სამ-ოცნს კვირაში საპატიო ზაგს ჩამოვაგდებ იაბონიასთან, მაგრამ ვიტესათვის იმპერატორ ვილჰელმის გაელენით პასუხიც არ უღირსებიათ. ვილჰელმი ბეჯითად ურჩევდა რუსეთს, მედგრად განაგრძეთ ომი, ბოლოს რუსეთი უსათუოდ ბრწყინვალედ გამარჯვებული გამოვაო. გერმანიას რუსეთის დასუსტება სწადიან, რომ ევროპაში უფრო თამამად იბატონოს. რუსეთის დასუსტება ნამდელი გამარჯვება იქნება გერმანიის დიპლომატიისათვის და გერმანიის გაძლიერებას ხელს შეუწყობს. (ს.)

27 იანვარს შესრულდა ერთი წელიწადი, რაც რუსეთ-იაბონიის ომი დაიწყო, რუსული გაზეთები ამის გამო სხვაგვარ წერილებით. მოგვყავს აქ წინაში დღი-ს აზრი:

„დღეს შესრულდა წელიწადი, რაც ომი დაიწყო, წელიწადია, რაც იქ, მანჯურიის ველზე და



მთებზე იღვრება სისხლი ჩვენის ძმებისა,—მთელი
ღვა სისხლისა; წელიწადია, რაც აქ, რუსეთის
სოფლებსა და ქალაქებში იღვრება ცრემლი ხალხისა,
—მთელი ზღვა ცრემლებისა.. ვინ ჩამოთვლის
რამდენმა დღითა სული ბრძოლის ველზე, რამდენი
ჩანთქა უღმობებლმა ზღვა-ოკეანეზე? ვინ ჩამოთვლის,
რამდენი დაბრუნდა და ბრუნდება დღესაც ომის
ველიდან დასახიჩრებულნი?.. სად არიან ესლა ჩვენი
პორტ-არტური და დალნი,—ეს უმჯობესესი სათა-
მამოები, რომლითაც ამჟამად ჩვენი პატრიოტები
და რომელიც მრავალი მილიონად დაუჯდა ჩვენს
ხალხს?! სადღა ესლა ჩვენი ძლიერი ფლოტი,
რომელიც ასე იკვებია ყოველთვის და გააწმენ-
და, უძლველი ვარო?!

იყო ყველაფერი და აღარ არის: გაჰქრა ვითა-
რცა სიზმარი... მართალია, მარტო ჩვენი-ც არ ვი-
ზარალებთ: იზარალა იაპონიამაც, მაგრამ იაპონიამ
იცის, რისთვის შესწირა ამდენი მსხვერპლი ომსა და
შხედავს კიდევ, რომ მსხვერპლმა ამაოდ არ ჩაუარა...
ამიტომ დღეს იაპონიის დედა ქალაქში დიდი დღე-
სისწაულია გამართული. ამჟამ, კმაყოფილი და თა-
ვისუფალი ხალხი მიდი-მოდილსამაზად მორთულ
და გაჩირაღებულ ქუჩებზე; მიკადოსა და იმის
მარჩელების პატივსაცემად ხალხი სიხარულის
ჰიმნებს მღერის, რადგან იმათ მოახერხეს ომისთვის
მომზადება და გამარჯვება. და იაპონიის სადათიც,
როცა კვდება სამშობლოსათვის, დაწმუნებულია,
რომ იმის სახელს დღეს ლოცვითა და კურთხევით
იხსენიებს მთელი ვრი...

ყველა ამის მაგიერ რას ვხედავთ დღეს აქ,
რუსეთის დედა-ქალაქში, რუსეთში?!

ოგორ მოვიცქეთ შემდეგში, რა გზას დავად-
გეთ? რას იმეორებენ, მშვიდობიანობაო, ამბობენ
ზოგი უნდა ჩამოვადლოთ; მეორენი ამტიკებენ,
არა, უნდა ვიომოთ კიდევოა.

ვინც ამბობს მშვიდობიანობაო, იმათ კარგად
ესმით, რომ დღევანდელ მთავრობას არ შეუძლია
მშვიდობიანობის დამყარება და რომ მხოლოდ ხალ-
ხი, რუსეთის ღირსების შეუბღალავად, შესძლებს
იაპონიასთან მორიგებას,—შესაძლებს, რადგან ადვი-
ლად დასთმობს იმას, რაც რუსეთისათვის საჭირო
არის. მაგრამ ვინც ამბობს, ომი უნდა გაგრძელ-
დესო, იმათ ვერ გაიგვს კიდევ, რომ გამარჯვებაც
შეუძლებელია დღევანდელს პირობებში და რომ

ომის გაძლიერებისათვისაც ხალხის წარმომადგენლუ-
ბის მოწვევაა საჭირო...“ („ცნ. ფურ.)

შეტუბურგა! გახეთქიანს ყველა რეაქტორთა
საერთო განცხადება. 9 იანვრის საშინელ დღეების
შემდეგ შეკრებილან „მირფეისა ვედომოსტი“-ს,
„ნაში დნა“-ს, „ნაში ტიზნ“-ის, „ნოვოე ვრეძია“-ს,
„ნოვოსტია“-ს, „პეტერბურგსკია გაზეტა“-ს, „პეტერ-
ბურგსკი ლისტოკა“-ის, (რუსა)-ის, „პეტერბურგსკია
ვედომოსტია“-ს, „პეტ. ჰეროლდ“-ის, „პეტ. ციი-
ტუნგ“-ის, „სვეტ“-ის, „სლოვო“-ს, „სინ ოტეტეს-
ტვა“-ს, „პრაგო“-ს და „იურისტ“-ის რეაქტორე-
ბი და „შუუდგენითა შემდეგი განცხადება, რომელიც
შემდეგ თ. სეიატოპოლე-მირსკისათვის წარუდგენათ:

„პეტერბურგის პერიოდულ გამოცემათა რეაქ-
ტორების კრებას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია,
განსაკუთრებით ამ ძნელსა და მძლეობარე დროს,
ესლავე მიეცეს პრესას სრული თავისუფლება სა-
ზოგადოებრივ ცხოვრების ფაქტების გამომჟღავნებისა
და განხილვისა.

ამასთანავე რეაქტორების კრებას თავის მო-
ვალეობად მიაჩნია გამოაცხადოს თავისი ღრმა
რწმენა, რომ ერთადერთი გზა ესლანდელ მდგომა-
რეობიდან გამოსვლისა არის მოწვევა საერო კრებისა
(ზემსკი სობორა) რუსეთის სახელმწიფო წესწყო-
ბილების მოსაწყობად. ეს კრება უნდა შესდგებოდეს
ყველა წოდების და კლასების თავისუფლად არჩეულ
წარმომადგენლებსაგან და მას უნდა ჰქონდეს სრუ-
ლი უფლება თავისუფალ მსჯელობისა და დადგენი-
ლებათა. საერო კრების სხდომები საესებით საჯარო
უნდა იქნეს“. (არუსა-ი).

იტალიის ერთ უდიდეს ქალაქთაგანსა—მილანის
ქალაქის საბჭომ ხმა დასცა ბრიუსელის ქალაქის
საბჭოს და დაადგინა, უღრმესი თანაგრძნობა გამო-
უცხადოს მთავრობისაგან დაჩაგრულ რუსეთის
მუშა ხალხს. საბჭოს დადგენილებაზე ხელი არ
მოუწერია მხოლოდ ხუთ წევრს, სამღვდლოების
მომხრე კლერიკალებს, რომელნიც დღემდის ჯვარს
აცვამენ ქრისტეს სახელსა და მცენებს. ერთობას,
ძმობას და თავისუფლებას, რომელსაც მოკლებულია
რუსეთის ხალხი, კლერიკალები დაუძინებელ მტრო-
ბას უცხადებენ. მათი პრინციპი—მძლვართა ბრძა-
ნებლობა და სუსტთა მორჩილებაა. ამ პრინციპის



უდიდესი წარმომადგენელი კლერიკალთათვის რომის პაპა, მის ბრძანების წინაშე შორჩილად ქედს იხრიან მთელი ქვეყნის კათოლიკენი.

პეტერბურგის მუშებს მშვიდობიანი, ქრისტიანული პრინციპით გამსქვეალული თხოვნა მიჰქონდათ ხელმოწეფსთან, კავშირის, ერთობის, ძმობის, სიტყვის თავისუფლებას საზოგადონ. ე. ი. ისეთ რამეს, რაცა სძაგს ზოგიერთებს დედა-მისის ზურგზე. ერთობა მათ თვალში ძალას ნიშნავს. სადაც ერთობაა—ბრძანებლობა გაუქმებულია.

ჩვენი საბჭოს ხმოსნები უფრო და უფრო სინტერესო ხდება საზოგადოებისათვ ამოძრავებულ ცხოვრების ტალღამ იერი და ფსკი მისცა ჩვენ უფროს უინტერესო საქალაქო თვითმართველობას; საზოგადოებრივ ცხოვრების აქტიურბულმა ტემპმა ჩვენი ხმოსნების ინდიფერენტობა და უხალისობაც კი სძლია.

17 იანვრის სხდომაზე ჰქონდათ ლაპარაკი. 24 იანვარს საბჭომ ერთხმად უარი უთხრა მღვდელს ვოსტოგოვს. რომელიც შემწევობას თხოულობდა სამრევლო სკოლებისათვის. ასეთ უარს წინადაც იტყოდნ ჩვენი ხმოსნები, მაგრამ უხმოდ—შხოლოდ ფარულის კენჭის ყრით. ესლა კი თამამად ასაბუთებენ თავიანთ დადგენილებას: რუსეთში მთელი საზოგადოება წინააღმდეგია სამრევლო სკოლისა, რადგან იგი ყოვლად შეუფერებელია თანამედროვე ცხოვრებისათვის; სამრევლო სკოლა, სასულიერო უწყების ხელქვეითი, ხალხის განათლებას კი არ ემსახურება, არამედ განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზანს, რომელიც სრულიად არ არის ხალხის კეთილ დღეობის მომასწავებელი და სხვა. აი როგორ მსჯელობს რუსეთის საუკეთესო შვილნი სამრევლო სკოლაზე და ერობა თუ ქალაქი ყოველთვის უარს ეუბნება შემწეობაზე სასულიერო წოდებას.

ქართველ ხმოსნებს რომ ხმა ამოედოთ, ამ, ეგრე ვსთქვათ, რუსულ დახასიათებას, ქართულსაც უნდ დაურთავდნენ. ვინ არ იცის დღეს რა მიზანი აქვს ჩვენში სამრევლო სკოლას, რომელსაც ასეთის მზრუნველობით ეკიდებიან ჩვენი მოკეთენი? იყო

დრო, როცა, წინააღმდეგ რუსულ საზოგადოებისა, ჩვენში სამრევლო სკოლას უფრო თანაურგონობდნენ ვიდრე სამინისტროსის და განსვენებული კ. პ. იანოვსკი დიდი მტერი იყო სამრევლო სკოლისა—ხელს მიშლის, დისგარმონია შემოაქვს კავკასიის სასკოლო საქმეში, რადგან ადგილობრივ ენას მეტად დიდი ადგილი აქვს დათმობილიო. იმ დროს დიდი დავა იყო მზრუნველსა და სასულიერო წოდებას შუა. დღეს გარეკლება შეიცვალა: ორივე უწყება ხელი-ხელ ჩაკიდებული მუშაობს ერთის მიზნისათვის.

კალშტის თავდა-აზნაურობის კრება და მარშალის ობინისკის სატყვეა. გუბერნიის სათავად აზნაურო კრებ მ 9 იანვარს 112 ხმით წინააღმდეგ ნა-ისა მიიღო ადრესი, მალო-იაროსლავეცის მარშლის ობინისკის მიერ შედგენილი. ამ ადრესში გამოთქმულია იმედი, რომ მთავრობა მიიწვევს ხალხის წარმომადგენლებს სახელმწიფო მუშაობაში მუდმივ მონაწილეობის მისაღებად. კრების უმცირესობამ დღემწიფო გავზავნა მინისტრის სახელზე საკუთარი ადრესი, 26 აზნაურისაგან ხელმოწერილი; ადრესში, რასაკვირველია, სულ წინააღმდეგი აზრია გატარებული. სანამ ობინისკის ადრესს მიიღებდნენ, გამართულა თავად-აზნაურობის კრძო თაბიბირი, რომელსა უნდაც ობინისკის შემდეგი სიტყვა წარმოუთქვამს:

„მონდება ხოლმე ხნდახან, რომ რამდენიმე წლის აღუშვოთებელი ცხოვრების შემდეგ დაღვება ხანა უბედურებისა; ჩვენც სასოწარკვეთილებას ვეძლევით, ვწყველით ჩვენ ბედს და იშვიათი მოვლენა იმდენი სიხამაცე გამოვიჩინოთ, რომ გამოვცდეთ—რაც მოვდის, ჩვენივე ნაკლულეფანების ბრძოლა. მზავს მოვლენას ხშირად ვანციდიან მთელსა ელმწიფონი და ჩვენის სამშობლოს ეხლანდელითა ყო-მარებოდა უნებლიეთ მოგვასაზრებობს ამ ზღუ-ეფას. გაიხსენეთ 1812 წლის წინად ეპოქა: გარეგანი წყინეალება ბევრი იყო, შინაური მდგომარეობა კი სამუშაბრო ნაბალეონ პირველთან ბრძოლა ნამდვილ სახალხო ბრძოლად არ გადაქცეულიყო, შესამდეგ-ბელია, რუსეთის პოლიტიკური რუქა სულ სხვანაირი ყოფილიყო. როგორც ყოველმა ომმა (ომი ხომ ქეშაბირი ეგზამენია სახელმწიფო ცხოვრებისა), ამანაც გამოააშკარავა მაშინ ბევრი შინაური მოკლწყობლობა და რასაკვირველია, მოსალოდნელი იყო, რომ რეფორმები არ დაიგვიანებდა. არც დაუგვიანე-



ბია, მაგრამ... სვერანსკის ადგილი არაქვემა დიკა-
 ქა... ამ გვირად პირველი გაფრთხილება, რომელიც
 მიიღო პეტრე დიდის შემდეგმა რუსეთმა, უნაყოფო
 შეიქნა. ძველებურად გაქონდათ აურზაური პარა-
 დოზზე ბრწყინვალე ჯარებს ვინტეზ დაძობილი
 თაუბებით, რაც სავსებით შეფერებოდა მაშინდელ
 მართველ კლასების აღვირ-ახსნილი წნეობას. ქარი-
 შხალში რომელმაც ორმოცის წლის შემდეგ დაპყრო
 სვესტოპოლს, ცოტათი გასწმინდა ჰაერი. ამ დამარ-
 ცხების თანამედროვენი ესლაც იგონებენ, რა
 ტკივილი იგრძნეს მათმა გულმა, როცა გაიგეს სვეს-
 ტოპოლის ნათესადგურის შესავალიან ფლოტი ჩას-
 ძირესო: აქ დაიდევნენ სინოპთან გამარჯვებული
 სიმამლები და ისეთი ხელ მძღვანელი მეზღვაურე-
 ბისა, როგორც იყო კორნილოვი და დაუვიწყარი
 ნახიშოვი. განათვისუფლების სასიხარულო ამბავმა,
 რომელიც აღექანდრე მეორემ შეატყობინა საზო-
 გადობებს პარიზის ხელშეკრულობის შემდეგ, და-
 ვიანა ეს გულის-ტკივილი. ყველაფერი იმას მოწი-
 ლადა, რომ ბედის ამ მეორე გაფრთხილებამ ძლიერად,
 რადიკალურად იმოქმედა მართველ კლასებზე...
 მაგრამ გავიდა ცოტა დრო რეშენიერი ყვევლები,
 სიყვარულით მომკილი იმ ეპოქის მოღვაწეებისმიერ,
 დასკვნენ რეაქციის თვალ ქვეშ, და რუსეთის სინამ-
 დღლის შორიზონტზე უკვე გამოჩნდა შეგვიძლია
 სახე დიპლომატიკოსტოსისა. ყველაფერი მიიკცა
 მძიმე ძილში. როგორც ყოველი ხელოვნურად გა-
 მოწვეული ძილი, ესეც არ იყო მშვიდობიანი და
 სახელმწიფო ორგანიზმს უშუალოდნდნენ სულ ახალ-
 ახალ დამძიმებულ საშუალებას გამოიკრებულ წესის
 დაცვაძედ და იაკუტის მხარეში აღმინისტრაციულ
 გადასახლებამდე და ბოლოს დადგა დრო
 მესამე გაფრთხილებისა. სვესტოპოლის ეპოპეას
 ნახევარ საუკუნის იუბილეს დღესასწაულოებენ პეტ-
 რე-პავლეს ციხის ზარბაზნების უტყვიო სროლით-კი
 არა, არამედ ნამდვილ სახმელთა სროლით შორე-
 აღმოსავლეთში. გავიდა ერთი წელიწადი ამ სისხლის
 ქვლეხისა, უკიდურეს ძალის მოხმარებისა, ტანჯვისა
 და დამკირებისა; უკვე მეორე ფლოტი, ესლა-კი
 შერცხვენილი, ჩასძირეს ან ააფეთქეს მტერს გადა-
 ცემულ პორტ-არტურის ნაპირებთან. ნუ თუ შემ-
 დგეშაიც უნდა მოგველოდეს მზავის კატასტროფა-
 ნი? ნუ თუ ჩვენი შვილებიც უნდა აღიზარდონ
 ოფიციალურ სიცრუისა და ყოველგვარ ძალმოძრე-
 ლობის ატმოსფეროში? ვიქონიით იმედი, რომ არა.
 ვიქონიით იმედი, რომ უშაღლეს ბრძანებაში აღნი-

შულ რეფორმებს მალე დაასრულებენ ^{დასრულებულ}
 რეფორმები არ იქნება მარტო იმ უსანონოზათა
 მოსაზრება, რომლებითაც ასე შემორკილი იყო ჩვენი
 ცხოვრება. ამ მხრივ ყველაზე საყურადღებო არის
 ზრუნვა მუშებზე და გლეხებს-გათანასწორება სხვა
 წოდებასთან, და ჩვენ, აზნაურები, სიამაღლებით
 ვვგებებით ასეთ დაწყებულებას: ბოლოს დადგება
 ისეთი დრო, როცა ვერაფერ გვისაყვედურებს ჩვენ
 პრივილეგიებს, როცა აზნაურის ქველობა გახდება
 სინონიმი მოქალაქის ქველობისა.

მე ვაქცევ თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებას
 ბრძანების ამ პუნქტებს-კი არა და არც უქანსკელ
 პუნქტს, რომლის ძალითაც რეფორმის საქმე ისევ
 ბიუროკრატულ დაწყებულს ვადავიკა; აქ, თავ-
 ვად-აზნაურობის კრებაზე ვაქცევ თქვენს ყურადღე-
 ვას იმ გარემოებას, რომ ამ დიდნიშნელოვან
 დოკუმენტში ერთხელაც არ არის ნახსენები თავად-
 აზნაურობა. რომ ამ ბრძანებით თავდება ჩვენი რო-
 ლი, როგორც უპირატესობიან წოდებისა, ეს ყვე-
 ლას გვემის და მე კიდევაც ვსთქვი, რომ ჩვენ
 სულით და გულით ვვგებებით რუსეთის მოქალაქე-
 თა სრულ თანასწორობას. მაგრამ თვითონ ფაქტი
 სრულის გაუმგებისა თავად-აზნაურობაზე საგანგებო
 მნიშვნელობისა, სიმბოლოური მნიშვნელობისა. გან-
 არა ჩანს აქ უსიტყუო საყვედური მუხისა ჩვენი
 მუღმივის გაუმგების გამო? მართალია, ხანდახან ჩვენც
 ვიღვებთ ხმას, მაგრამ ჩვენი სიტყვები მხოლოდ
 მისაღმებისა და მადლობის სიტყვები იყო; შეიძლება
 ეს სიტყვები გულწრფელი და ლამაზადაც გამოთქ-
 მული იყო. მაგრამ ნიშნობლივი თვისება ასეთის
 თქმისა ის არის, რომ ადვილია, ადვილად მოსასმენი
 და თავის ერთგვარობით ყოველს მნიშვნელობას
 მოკლებული. დიახ, ჩვენ გაუმგებული ვიყავით. კა-
 ნონიო-კი ჩვენ ვქონდა საშურველი უფლება პირ-
 დაპირ დამოკიდებულებისა მეფესთან. ჩვენ ვიცოდით,
 ირგვლივ რა ხდებოდა, ვხედავდით, რომ ჩვენი
 ცხოვრების პირობები აუტანელია, რომ საშობლო
 დაღუპვისაკენ მიისწრაფვის და ჩვენ მეფეს კი არას
 ვუბნებოდით. განა არ უნდა გვისაყვედუროს ასეთის
 ქვეყნისათვის? ესლა მაინც ნუ გაუშვებთ შემთხვევას
 და მოკახსენოთ ხელმოწიფეს სრული სიმაართე...
 მხოლოდ ამ მოვალეობის ასრულების შემდეგ შეგ-
 ვებღება ღირსებით ჩამოვიდეთ იმ სიმაღლიდან,
 რომელზედაც აგვიყვანა ეკატერინე მეორემ არა
 ღირსებისამებრ ჩვენი... მხოლოდ მაშინ შეგვძლედ
 სასახელოდა და პატროსნებით უარყვით ჩვენი უპი-
 რატესობიანი ჩვენ მარწენელ ხალხის წინაშე...“ (ნ.დ.)



საქართველო
1917 წლის
11 თვე

იაზონელები რუსის არმიის უკან. იაზონელების
გალაშქრებას ტელინის ჩრდილოეთით ფანძიატუნისა
და გუნჩელისისაკენ მებრძოლ საყურადღებო ამბავს
სთვლის „რუსეთის ველომოსტ“-ის სამხედრო მშობი-
ლველი. ბ. ვ. ს. სურგის: იქნება იაზონელების
რაზმის რიცხვს აზვიადებდნენ, იქნება ტელინისაკენ
15 თასი კი არა, სულ 1,500 კაცი გაგზავნოს
მარშალ იოიშას, მაგრამ მაინც იაზონელების გალა-
შქრება ჩრდილოეთისაკენ ნამდვილად სამწუხარო
ამბავია. თუ იაზონელებს მართლა ქვეითა ჯარით
ჰყავთ, ცხადია, ამ მოწინავე რაზმს სხვა უფრო
დიდი რაზმიც უნდა მივსდევდეთ, თორემ რუსები
ადვილად მოუჭირებდნენ გზას ქვეითა ჯარის პატარა
რაზმს.. ასეა თუ ისე, იაზონელების ძლიერი რაზმი
ზურგიდან მოექცა გენ. კუროპატინის არმიას.
მაგრამ გენ. კუროპატინს შეუძლიან რკინის გზით
ორიოთხედ დღეში 20 თასი კაცი აიყვანოს გუნჩელ-
ლინთან და იაზონელებს რკინის გზის წახდენისა
და მოპრის ნება არ მისცეს... რუსის არმია მაინც
საშიშ მდგომარეობაში იქნება, ხანამ ნამდვილად
არ გამოიკვლევდნენ, რამდენი ჯარი ჰყავთ იაზონე-
ლებს მდ. დალიახეს (გუნჩელისი) ამ მდინარის
ნაპირის მდებარეობას) სათავეში და სანამ იაზონე-
ლების რაზმს უკან არ განდევნიან. მართალია, ია-
ზონელების რაზმი, მუქდენს უკან რკინის ახლო
მყოფ, რუსის არმიას დიდ განსაცდელში ვერ ჩაგ-
დებს. მაგრამ მაინც ეს ამბავი ძლიერ გაამწუხრებს
გენ. კუროპატინსაო.

როგორც ვიცითა, იაზონელები უფრო ზევით
ჩრდილოეთისაკენ გამართულან და მდ. სუნგარის
გალმაჯ კი გასულან...

წუდამაჟდა ომი. „რუსეთის ველომოსტ“-ის სამხე-
დრო მიმომართველი ბ. ვ. მ. სანტერესო წერილი
დაბეჭდა რუსეთ-იაზონის ომის წლის თავზე. ბ. ვ. მ.
სურგის: ამისთანა მძიმე და უბედური ომი რუსეთის
აღარ ჰქონია 1700—1721 წლის ომის შემდეგ,
პეტრე დიდის შემდეგ შარშანდღამე რუსეთის
ფლოტი და ჯარი ისე არას დროს არ დამარცხებულ-
ლი. ზღვაზე ბრძოლა ხომ რუსის ფლოტის სრულ-
ანადაგურებით გათავდა. ტრაფალგარის ბრძო-
ლის შემდეგ არც ერთ ფლოტს არ მოსვლია ასეთი
უბედურება... ომის დაწყების დროს რუსის ფლოტი
—წყნარ-ოკეანისა და ბალტიის ესკადრები ერთად
—ძლიერი იყო იაზონის ფლოტზე, მაგრამ რუსე-
თმა მალე ვერ ჩაიყვანა ბალტიის ფლოტი შორეულ-
აღმოსავლეთს, თუმცა პორტ-არტურამდე სულ

40 დღის გზა. იაზონელებმა პორტ-არტურის ესკადრა
მთლად გაანადგურეს და რუსეთს ეხლა მხოლოდ
ბალტიის ფლოტი-და დარჩა. თუმცა იაზონის
ფლოტსაც ზარალი მოუვიდა ომის დროს, მაგრამ
ეს ზარალი ვერ შეედრება რუსის ფლოტის ზარალს
და ამდ. ტოგოს ესკადრა მაინც ეხლა უფრო
ძლიერია, ვიდრე ვლადივოსტოკისა და ბალტიის
ესკადრები ერთად. პირველმა წელიწადმა ასე უბე-
დურად ჩაიარა, ენახათ მომავლი რაღას შურუტას
რუსეთს.

ოფიციალური ცნობა. გენერალ-ადიუტანტ-
კუროპატინის დღეში მისი. იმპერატორ-
ბითი უდღებულვესობის სახელობაზე 1905 წლის
12 თებერვლიდან: „დღეს დილის 5 საათზე სოფე-
ლი ცინხენინი დაიჭრა მოწინააღმდეგე. ჯერ კიდევ
არ მიმიღია დაწერილებითი ცნობები გუშინდელი
ზიანის შესახებ. სალუნის ლაზარეთში მოიყვანეს.
12 დაპროლი აფიცერი და 300-მდე დაპროლი
ჯარის-კაცი. როგორც მოხსენებიდან სჩანს, მოკლუ-
ლთა პროცენტი დიდია. რაზმის უფროსი თავის
მოსხენებაში აღნიშნავს ბევრთა ნაწილთა თავგან-
წირულ მოქმედებას; მაგალითად: იმ როტამა რომელიც
იკავდა სტინის უდღებულობის 9 ვერსტზე
კენხენინის სამხრეთ-დასავლეთით, რამდენჯერმე
უკუავლო მისზე უძლიერეს მტრისაგან მოტიანილი
იერიში. ერთ ამ იერიშთანავე დროს მოპირდაპირ
15 ნაბიჯით მოუახლოვდა ჩვენს პოზიციას; 2 როტა,
რომელიც ბერესინის გორაკის საყურადღებო ადგილს
იკავდა, თავამოღებით ორბოდა ხმტვებით, რომ-
ლის დროს როტების ორთავე კომანდირი დაჭრილი
იქნა, ერთი იმთავანი, შტამს-კაპიტანი ვილოგინი,
დაჭრილი ხმტვით ხელში, ძალით გამოიყვანეს სა-
ყურადღებო ადგილიდან თავის როტადან გადაჩრენილ
საღდათებთან ერთად. პოზიციის მარცხენა ფრთაზე
მოსულ მტრის საწინააღმდეგოდ გაგზავნილმა რო-
ტებმა მიუპარჯვეს ცეცხლი ახლო დისტანციებიდან
და არ მიუშვეს თავისთან მტერი, თუმცა სამივე
მხრივ იყვნენ შემორტყმული. მაშინაც კი, როცა
პატრონები შემოეღიათ და მთელმა რაზმმა უკან
დაიხია, არ უნდოდათ ამ როტებს წამოსვლა და
გლოდნენ წერილობითი ბრძანებას. დღეს დილით
მტრის ერთი ბატალიონი დაეცა პაპი-ლინის უდელ-
ტენილის მხარეს, 8 ვერსტზე, სამხრეთ-დასავლეთით
სანდუნისუდან. დღეს ბინდისას მტრის მოწინავე
რაზმები მოუახლოვდნენ უდღებულობებსაც; ხაცა
ჩვენა ვართ გამაგრებულნი.



ასალი ამბები და შენიშვნები.

* * 4 თებერვლის ნაშუადღევის მერთხე საათზე კრემლოში (მოსკოვში), ნიკოლსკის ალაყაფის კარგბთან მოკლულ იქნა დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე. ხელის ყუშმბარა ესროლეს მის ეტლს. მთავრის გვაში დაგლეჯილია ნაწილებად. მეეტლე ქოლობისაგან ცოტა ხანს შემდეგ მოკვდა. მკვლელი გლეხის „პოდევკაში“ იყო ჩამუხლი. ჯერ-ჯერობით სამა კაცია დაქერილი.

ნაშუადღევს 2 საათსა და 45 წუთზე ნიკოლოზის სასახლის შესავალითან ეტლი ჰართვის დიდ მთავარს სერგეი ალექსანდრეს ძეს, რომელიც უნდა წასულიყო საგენერალ-გუბერნატორის სახლში. ხუთი წუთის შემდეგ იქუნდა წასულიყო დიდი მთავრის მეუღლეც. ნიკოლსკის ალაყაფის კარგბს ახლოს კრემლოში ვილაკ კაპა, გლეხურ ტანისამოსში გამაწყობილი, ყუშმბარა ესროლა დიდი მთავრის ეტლს. იმ ადგილს, სადაც უბედურება მოხდა, საქაროდ მოიჭრა დიდი მთავრისა. დიდი მთავრის გვაში ნაჭერ-ნაჭერ იყო დაგლეჯილი. ეტლი ნაფოტებად იქცა. ცხენები და დაჭრილი მეეტლე შეიჩერეს. მორიგი პოლიციელი ლეონტიევი და ქუჩაში მყოფი ხალხი მკვლელს გამოუდგნენ, რომელსაც სახე სისხლით ჰქონდა მოსვრილი და ტანთსაცმელი (პალიოვკა) ძლიერ დაგლეჯილი. მკვლელი შეიპყრეს, ასე 28 წლის კაცი იქნება. დიდი მთავრისა მუხლებზე დაეშვა და ისე დაჩოქილი იდგა მცხედრის წინ. ვიდრე ეკატერინოსლავის პოლკის აფიცრები არ მოვიდნენ, რომელთაც საკაცით წაასვენეს გვაში სასახლეში. მეეტლე ანდრია მიძიდ არის დაჭრილი და იაუჯკის სავადმყოფოში წევს. დამნაშავეს ჩვენება ჩამოართვის პოლიციის უბნის მდივანხანაში. მკვლელმა დანაშაულობა აღიარა, მაგრამ თავის ვინაობა კიარ გამოაცხადა. ლაპარაკში კილის უქცევს. კრემლად დიდძალი ხალხი შეიკრიბა. გვაში დიდის მთავრისა გენერლებმა და აფიცრებმა გადაიტანეს ჩუღაგის მონასტერში და იმ წამსვე გადაიხადეს პირველი პანაშვილი დიდი მთავრისას და ამაღლის დასწრებით. მიცვალბულთან იდარაჯებენ ღამე ამაღლაში მყოფნი. მიცვალბულს საპატიო დარაჯი უდგია.

* * ზეტერბურგი. 5 თებერვადი. ^{სწავნიცასუქრად.} უმაღლესა ბრძანება. შეწვენითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ მეორე, ამპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთის, მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხვათა და სხვათა ვაუწყებთ ყველა ჩვენ ერთგულ ქვეშევრდომთ: ნებითა განგებისათა მოგვევლინა ჩვენ თავზარდამცემი მწუხარება: საყვარელი ბიძა ჩვენი დ დი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე გარდაიცვალა მოსკოვის ამა თებერვლის მერთხესა დღესა, დაბადებიდან 48 წლისა, დალუპულ იქნა მკვლელის კანდიერ ხელით, რომელიც მ-ს სპო ჩვენთვის ძვირფასი სიცოცხლე მისი. ვსტიარი რა მის ვითარცა ჩვენ ბიძას და მეგობარს, რომლის მთელი სიცოცხლე შრომა და ზრუნვა მუდამ სამშობლოს და ჩვენის სამსახურზე იყო მიმართული, მტკიცედ გვწამს, რომ ყველა ჩვენი ერთგული ქვეშევრდომნიც მზურვალე მონაწილეობას მიიღებენ ჩვენ მწუხარებაში და თავიანთ მზურვალე ლოცვას ჩვენ ლოცვას შეუერთებენ განსვენებულის დიდი მთავრის სულის მოსახსენებლად. ბოძებულია ცარსკოი სელოში თებერვლის 4-სა დღესა, წელსა დაბადებიდან ქრისტესა ათას ცხრაას ხუთსა, ხოლო მეფობასა ჩვენსა მეფეთამეტესა. „დეანზე მათა ამპერატორებათა უდიდებუქსობას საყოთარას ხედათ აქნა: „ნიკოლოზ“.

* * ტოკიო 4 თებერვლი. იაპონია თავის წინ ხედავს განსაზღვრულ მიზანს, ამ მიზნის მისაღწევად იაპონია მზათ არის შესწიროს სიცოცხლეც, ფულიც და ყოველივე შესხერბლი, როგორც უნდა იყოს და რა ფასდაც უნდა დაუჯდეს. ეს მიზანი არის განადგურება რუსეთის ძლიერებისა შორეულ-აღმოსავლეთში; ხოლო ეს განადგურება ისეთი ძლიერი უნდა იყოს, რომ რუსეთის ძალის აღდგენა მომავალშიაც ყოველად შეუძლებელი-და უნდა იყოს, გაშასადამე იაპონია არას გზით არ დათანხმდება იმისთანა პირობებზე, რომ შესაძლო იყოს მომავალში ისევ საშოშო გახდეს ჩვენთვის რუსეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში იაპონია შეიქნებოდა მოღალატე თავის წმიდა მოველეობისა წინაშე შთამომავლობისა და იმ ჯარის კაცთა წინაშე, რომელნიც ომში გაწყდნენ სამშობლოს დიდებისათვის. ეს სიტყვები ნამდვილი გამოზნატველია იაპონელთა განათლებულ კაცთა და გაზეთების აზრისა.



* ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა 29 იანვარს შედგენი ბრძანება გამოსცა რკინის გზის პირველ და მეორე ნაწილის (ბათუმისკენ) უფროსთა საყურადღებოდ: «მოამზადეთ ყველაფერი სარემონტო მუშათა, ლიანდაგის და გადასასვლელების დარაჯთა დასაზოგუნად, რომელთაც პირველ თებერვლიდან წასვლა მოსსურავს. რაც ხანა არ უმუშავნიათ, ფული, რასაკვირველი, არ მიეცემათ. ამისთან გამოეცხადეთ წამსვლელთ, რომ არასოდეს, არავინ თარ პირობებში ხელახლა რკინის გზაზე აღარ მიიღებინა. 2 თებერვალს სარემონტო მუშათა, ლიანდაგის და გადასასვლელის დარაჯთა ნაცვლად დაყენებული იქნებიან სალდათები. ზომები მიიღეთ, რომ დათხოვნილებმა გაიანთავისუფლონ სალდათებისთვის სადგომები, სალდათებს ადგილებზე გაიანწილებს რეკინერი რახბინა».

* გაზ. «ნაშა თინი» სწერს: «1905 წლის თებერვალში უშაღლესი მთავრობა განიხილავს საკითხს სომეხთა საეკლესიო თანხების შესახებ. ეს თანხები სომეხთა ეკლესიას ჩამოერთოვა ე. პლევის მინისტრობის დროს. ამის გამო სომეხებმა რამდენიმე შეამდგომლობა აღძრეს, და საბუთთა ვიფიქრათ, რომ სომეხთა ეკლესიას ხელახლა დაუბრუნდება თანხები».

* 1904 წლის დეკემბერში ქათურის რკინის გზით გაუტანიათ 2,997,750 ფუთი შვი-ქვა. ამავე თვეში ბათუმსა და ფოთიდან საზღვარ-გარედ გაუტანიათ სულ 3,139,912 ფუთი. მსოფლიო ბაზარზე ჩვენგებური შვი-ქვა ამ ქამად რვა პენსად (32 კაბ.) ფასობს.

* იმერეთის ეპარქიაში სოფ. სორში ვილაც უცნობებს გაუტენხიათ ჯვარცმის ეკლესია და რაც ძვირფასი ნივთები და ფული ყოფილა, წაუღიათ. ქურდები ვერ დაუჭერიათ.

* «ნოვოსტი დნი»-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: ტუნხლოგიურ ინსტიტუტის და სასულელოერ აკადემიის სტუდენტები და მაღალ კურსების მსმენელი ქალები შეიკრიბნენ მთავრობის ნებართვით და დიდის უმრავლესობით დაადგინეს—ვიშუამდგომლოთ, რომ ლექციების კითხვას ნუ განახლებენო. როგორც სხვა ცნობებიდან სჩანს, ლექციები შეწყვეტილია რუსეთის ყველა მაღალ სასწავლებლებში.

* რადგან 19 თებერვალი შაბათი წელს აღების წინა დღეა, სინოდმა განკარგულემა მოახდინა, რომ

ამ შესანიშნავ დღის დღესასწაულობა გადატანილი იქნას 20 თებერვლისათვის.

* პეტერბურგის ეპარქიის უწყების ოფიციალურ ნაწილში დაბეჭდილია პეტერბურგის საპატრონოს მღვდელი გიორგი გაბონი გადაყენებულია თავის თანამდებობისაგან ღვთის მსახურების აკრძალვით, სინამ არ გამოირკვევა მისი მონაწილეობის ხასიათი უკანასკნელ მოძრაობაში და 12 იანვრის ვაფიცვაში.

* ხარბინი, 6 თებერვალი, ნაშუადღევს 4 საათი და 20 წუთი, 5 თებერვალს ნაშუადღევს 3 საათზე და 40 წუთზე მე-148/10 ვერსტზე რკინის გზის სახმრეთ ტოტზე იაომინის სადგურთან იაპონელები ხუნხუებთან ერთად, რიცხვით 1500 კაცი, ცდლობდნენ აეფეთქებინათ რკინის გზის ლიანდაგი. აფეთქებულია მხოლოდ ტელეგრაფის 2 ბიძი, ვიპოვეთ პიროქსილინის პატრონები, დიდის შვიდ საათზე გზა და ტელეგრაფი შევკეთეთ.

* სუიატური, 6 თებერვალი. დიდის 12 ს. და 56 წ. იაპონელები შახე-ლამატუნის სადგურიდან დამ-ღამეობით სლაპარაკო ნიშნებს აძღვევენ ფარნებით და ხოუტხის გორაკს ელაპარაკებიან. უკანასკნელ დღეებში ხშირი მიმოსვლა მტრის მატარებლებისა შეხე-ხუნდიბუს შუა. თითო მატარებელი 30—40 ვაგონიდან შედგება. საფარებელია, რომ იაპონელებმა ახალი რკინის გზა გაიყვანეს მდინარე შახეს და თავიანთ წინა პოზიციების დასწვრივ. მტერმა დიდძალ სანოვავეს და სამარძოლეელ მასალას მოუყარა თავი იანტიას საწყობებში. სანონოვავეს ადგილობრივ მცხოვრებთ აზიდინებენ. 5 გრაღუსი სიცივა და ძლიერ ქრის.

* პეტერბურგი, ოფიციალურად. მინისტრთა კომიტეტის თურნალში 1904 წ. 31 დეკემბერსა და 1905 წლის 4 იანვარს აღნიშნულია წესი, როგორ უნდა აღსრულდეს 12 დეკემბრის უშაღლესის ბრძანების მე-2 პუნქტი. ეს წესი 4 თებერვალს უშაღლესად დამტკიცებულ იქნა. კომიტეტმა დაადგინა: 1) უშაღლესის ბრძანების მე-2 პუნქტში აღნიშნულ რეფორმების განხილვა მოხდეს საერობო და საქალაქო თვითმართველობის წარმომადგენელთა მონაწილეობით; 2) საერობო და საქალაქო თვითმართველობის ახალ წესდებთა შედგენა მიენდოს ორს განსაკუთრებულს კომისიას პეტერბურგში, რომელთა თავმჯდომარეებს ხელმწიფე ვიცეპატრიარ დანი-



შნავს; ამ კომისიების წევრები იქნებიან: 1) მთავრობისაგან დანიშნული წარმომადგენლები სხვა-დასხვა სათანადო უწყებათა და 2) ერობათა და საქალაქო საბჭოთა მიერ არჩეული პირნი; 3) კომისიების თავჯდომარეთ ნება ექნებათ, როცა საჭიროება მოითხოვს, შეაერთონ ხოლმე ორივე კომისია; წინადადება მიეცეს ხსენებულ კომისიებს განიხილონ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარდგენილი მასალა და ახლად შედგენილი წესდებანი წარუდგინონ სახელმწიფოს საბჭოს; 4) ერობათა და საქალაქო თვით-მართველობათა წარმომადგენლების არჩევა ამ წესით უნდა მოხდეს: ა) იმ გუბერნიებში, სადაც ერობა არსებობს, ორ-ორი კაცი უნდა იქნას არჩეული; ერთს აირჩევს საგუბერნიო ერობა თავის ხმოსანთა შორის, მეორეს არჩევანი ასე უნდა მოხდეს: ჯერ სამაზროს ერობა აირჩევს სამაზრო ერობის ხმოსანებისაგან კანდიდატებს, შემდეგ ეს კანდიდატები თავის შორის აირჩევენ ერთს; ქალაქებში, სადაც მოქმედებს 1892 წლის საქალაქო დებულება და სადაც 50,000 კაცზე მეტი მცხოვრები ითვლება 1897 წელს მომხდარ აწერლობით, საქოებმა უნდა აირჩიონ ხმოსანთა შორის თითო წარმომადგენელი თითოეულ ქალაქისა; 5) შინაგან საქმეთა მინისტრს მიენდოს, სანამ კომისიები დაასრულებენ რეფორმის განხილვას, გამოარკვიონ საკითხი: შეიძლება თუ არა ერობის დაწესება ჩრდილოეთ-დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის 9 გუბერნიაში და თავისი აზრი სახელმწიფო საბჭოს წარუდგინოს და 6) მიენდოს სახელმწიფო ქონებათა და მიწათ-მოქმედების მინისტრს წარადგინოს თავისი მოსაზრებანი სახელმწიფო საბჭოში შესახებ სამინისტროსთან არსებულს სასოფლო-სამეურნეო საბჭოს ვადაკეთებისა.

* * დიდის მთავრის სურვა ადგიანდრეს ძის მოკვდას მსახვი. მოსკოვის გახუტებაში დაწვრილებითი ცნობებია მოკვანილი დიდის მთავრის მოკვლაზე. წიგ. დნია"-ში ეკითხულობთ: "მ საათი იქნებოდა, რომ მისი უმაღლესობა დიდი მთავარი გამოედიდა ეტლით ნიკოლოზის სასახლიდან. სენატი ზამეღანი ჩვეულებრივ ცალიერია და ამ დღესაც თითქმის არავინ ყოფილა: სულ რამდენიმე გამგლედი, პოლიციული ლეონტიევი, რომელიც სასამართლოს ირდაპირ იღვა, და დაჯაი არსენალითან. ეტლმა შეიღობით გაიარა თითქმის მთელი მოედანი. პოლიციელმა ლეონტიევიმ სამხედრო საღამო მისცა

დიდ მთავარს და კტოს თელი გააყოლა. ამ დროს გაისმა საშინელ აცქეთების ხმა.

სასამართლოს დაწესებულებიდან გამომოცინდა დამსხვრეული შუშები; ხმაურობაზე გამოიქცნენ ეკატერინოსლავის პოლიცის სალდათები და აფიცრები და „ნიკოლსკია ვაროტ“-ის პოლიციელები. საშინელი სურათია.

დიდის მთავრის გვამი უსიცოცხლო და დასახირებული იყო; თავი მოშორებული ჰქონდა ტანს; ერთი ფეხი მოგლეჯილია; ერთი ხელი უკან არის გადაგდებული. შინელისაგან ნაფლეთები-და დარჩენილიყო; მთელი ტანი რალად უფრომო გროვავა. მიწა მოფენილია ეტლის ნამსხვრევებით და ნაგლეჯებით; აქვე სამგანა მიწა ამოთხრილც, ცხალია, ყუმბარებისაგან.

მკვლელობა მოხდა სწორედ იმ სკვერთან, რომელიც სასამართლოს შენობას უფლის. შენობის ოთხივე სართულში ფანჯრები სულ ჩალეწილია. ეტლის ნაწილი ცხენებმა წაიღეს „ნიკოლსკია ვაროტ“-საკენ; ერთი ცხენი იქვე მოკვდა. მეტლენ ანდრია, ტანისამოს შემოგლეჯილი და დასისხლიანებული კეფათი, ხალხმა აიყენა და მოაჯირს მიაყუდა, რადგან ფეხზე დგომა აღარ შეეძლო; ბოლოს სასანიტარო ეტლი მოიყვანეს და საავადმყოფოში გაზავნეს.

* * გამოეცხადათ რკინის გზის მუშებს რომ მათი თხოვნა შეწყნარებულია უმეტესად და მათი მდგომარეობა დიდათ გაუმჯობესებული იქნება.

* * მღვდელი გაბონი შვეიცარიიდან საფრანგეთში წასულა.

* * დიდ ბოროტებას ჩაღიან დღეს მიყრუებულ, სოფლებში ზოგიერთი თავ აღებული პირები; დაღიან სოფლად, ხალხს ატყუებენ, რომ იგინი კომიტეტის წევრები არიან და ფულებს აგროვებენ. ზოგიერთებს სიკვდილით ემუქრებიან თუ ფულს არ მისცემენ. ჩვენ არ გვეკერა, რომ სადმე არსებობდეს ისეთი კომიტეტი რომლის წევრებმა ეკადრონ ის რასაც ეს კაცები კადრულობენ. თუ მართლა არსებობს სადმე კომიტეტი სწორეთ ყურადღება უნდა მიექციოს ამისთანა მატყუარა კაცი საქციელს...



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნობაზე.

ს ი ტ მ შ ა.

თქმული თეოდოსის ანის საკრებ. ტკძრში 14 იანვარს.

მიხედეთ პირველთა ზედა ნათესავთა და იხილეთ, ვის ჰრწმენა უფლისა და ჰრცხვენეს, ანუ ვინ ევლ შიშისა შინა მისსა და დაუტევა; ანუ ვინ ზად მას და უგულვებელს ჰყო იგი. (ისთა ზირაქი).

ერთი ქართველი მღვდელმთავარი, გამსკეპლული სამშობლოსადმი სიყვარულითა, თავის ქადაგებაში ამბობს: „იყო სანეტარო დრო, როდესაც სარწმუნოებრივი სიმშურალე უღვივდა გულში ქართველ ერს, აღფრთოვანებით ეგებებოდა იგი საღმრთო დღესასწაულებს, ბედნიერად გრძნობდა თავის-თავს ეკკლესიის წმ. კალთასქვეშ, ზეციური მადლით აღდგენილი წამლად და მტლად ედებოდა თავის მახლობელს და შორეულს, საუცხოვოდ ხატავდა და ჰქარავდა ისედაც მოხდენილ სამშობლოს პირს გასაოცარი და ძვირფასი ტაძრებით... მაგრამ ვი რომ დღეს ყველაფერი ეს მოისპო, გაქრა და დაიკარგა. გადავიდა ძველი თაობა და მან თითქოს საფლავში ჩაიყოლია ყოველივე სიკეთე, აღარაფერი, სრულყოფილი აღარაფერი აღარა გვცხიარა მამაპაპისა, აღარც სხეულით და აღარც სულით აღარ ეგვივართ მათ, აღარც გონება გვაქვს მათი და აღარც გული“ ამავე უნუგეშო მდგომარეობას ჩვენი ერისას ხატავს—ასურათებს ერთი ერისკაცთაგანი შემდეგი სიტყვებით: «ძლიერ ცული დრო დადგა, დაბერა სხვა ქარიშხალმა, რომელმაც ლამის მთლად შეარყიოს ჩვენი არსება და ძირიან ფესვიანად აღმოფხვრას და აღმოსთხაროს ჩვენ გულში სარწმუნოება,

ღვთის მსახურება, ეკკლესიისა და მის მსახურება სიყვარული. ეს ქარიშხალი თან-და-თან ძლიერდება, თან-და-თან მეტს მსხვერპლს იწირავს; დაპტროლავს ის ყველაგან, სოვისგან ღვთის საწინააღმდეგო საქმეს, ძირს უთხრის სამწყსოთა რწმენა-შეგებულობას, აქარწულებს ხალხის თვალში ყოველივე მას, რასაც ვეტრფოდით, რაც გვაზნევენდა ამ ქვეყნად და იმ ქვეყნისკენაც იმედით გვახედებდა. ნუ თუ ეს სამწუხარო საქმე არაა? ნუ თუ ეს მოვლენა ღირსი არ არის ყურადღებისა და წინააღმდეგობისა? გულწინადღიანად გვეკითხება ეს მამულიშვილი.

ვინ იტყვის, ძმანო ჩემო საყვარელო, რომ სამწუხარო არ იყოს ასეთი მოვლენა, ვინ არ მიხედება, თუ გონება მას არ დახშვია, რომ ეს ქარიშხალი კარგს არას უქადის ჩვენს ისედაც ბედკრულ სამშობლოს. რომელ ქართველ მამულიშვილს არ დაალონებს, არ დააფიქრებს დღევანდელი ჩვენი ვითომდა განათლებულ, შეგებულ პირთა საქციელი, ყოფა-ცხოვრება, მიმართულება. ამ ვაშეატონების ფიქრით სარწმუნოებას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს ჩვენ ცხოვრებაში. „მართლდა, ამბობენ იგინი, ჩვენი წინაპრნი ღვთის მოყვარულნი იყვნენ, დრას, დ ძაღდონეს დაიქუბუდ ტაძრების აგებას ანდაშეატნეს; მაგ რამ ეს დრო წავადა, ახლა სხვა ხანა დადა; სხვაზე უნდა ვვიქამოებენ. ბუგრა სხვა-და-სხვა მოთხრობილება შემოგვიყვანს, დაბადა ახალმა ვაშთავითარებამ და მთა დაქმეოფილებაზე უნდა ვზრუნუადეთ.“ რა უნდა იყოს მიზეზი ასეთი ურწმუნოებისა, უარყოფისა?

ხზირად ვაიგონებთ, რომ ეს და ეს სწავლული, მეცნიერი ურწმუნო კაცი არისო. ნამდვილად კი მოაწმუნდა. ურწმუნოებას ხელავენ მის ნაწერებში, როდესაც ის მეცნიერულად იკვლევს ამა თუ იმ სარწმუნოების საფუძვლიანობას, სიქეშმარიტეს; ცდილობს როგორმე დასაბუთოს, ყველას გაავებოს, მართალნი არიან, თუ შეშეცდარნი, მისი აღმსარებელნი, მიმდევარნი. ასეთი მეცნიერული გამოკვლევა სრულებითაც არ ნიშნავს კაცის ურწმუნოებას, არამედ პირ იქით მისი შრომა სწარმოებას ღრმა გონიერულ რწმენის გავლენის ქვეშ.

ზოგს დაბედება ეტვი იმ სარწმუნოების სწავლა მოაძვრებაზე, რომელსაც თვითონ აღიარებს მემკვიდრეობით (ე. ი. მისი დედამა რა სარწმუნოება იყვნენ, ისიც იმ სარწმუნოებისა არის), უნდა მის დეს ვაიგოს, რამდენათ მარტალია იგი; ქეშმარიტე.

ბას ქაღაღებს, თუ კაცს ატყუებს; ანვითარებს, თუ გონებას უხშობს და ზნეობით რყენის. თუ სასიკეთოთ, სასარგებლოთ ვერ დაინახა თავის თავისათვის, ამ სარწმუნოებას სცვლის სხვაზე, რომელიც მასზე მაღლა სდგას. ანნაირი გამოკვლევა, გამოძიება საგნისა სრულდებითაც არ გვაძლევს ჩვენ სახუთ ვუწოდოთ ამ პირს ურწმუნო კაცი. პირ იქით სიყვარული ღვთისადმი და სურვილი დაიმკვიდროს სასუფეველი ცათა ატანს ძალას ასე მოიქცეს.

არიან, მართალია, სრულიად ურწმუნონი, მაგრამ ესენი სრულ ჭკაუზე არ გახლავან. ჭეგუნწმან თქვა გუფლას შინა თვასს, ანა ეს დემონია მათზე არის ნათქვამი დავით წინასწარმეტყველისაგან.

ზოგნი კი გატაცებულნი არიან კრუ თავმოყვარეობისაგან უნდათ რითიმე თავი გამოიჩინონ, დაამტკიცონ თავიანთი დამოუკიდებლობა უნდათ სხვებს დაანახეონ, გააგებინონ, რომ წინაპართა და აგრეთვე თანამედროვეთა უმრავლესობის თანამოაზრენი არ არიან, მათზე დიდით მაღლა დგანან, რაც სხვებს არ ესმისთ და არ ესმოდათ, რასაც სხვები ვერ მიხვდარიან, მათთვის მარტივია და ადვილათ გასაგები. ამ მიზნით იგინი გაიძახიან: *ეთუ აქამომდე კაცობრიობა სინჯელეში იყო, ვერას გახდა, ესლა დროა ჩავადრეს გონებაში, აღარ მოტყუედეს.* ღვთის მსახურებას იხინი ისიულელეს უწოდებენ, ეკლესიის მოსამსახურებებს — მატყუარისა, მუქათამკამლეს ეძახიან, ძველნი ნაშინი, რომელნიც მოწმობენ ჩვენ წინაპართა ღრმა რწმენას და გამომახტყელნი არიან მათი ღვთიური წმიდა ცხოვრებისა, უმნიშვნელოთ და უსარგებლოთ მიანიათ. ამ ვაჟბატონების ადომოყვარებობამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ რაც დრო გადის მათი მოზიარება თან-და-თან მრავლდებიან. რასაკვირველია უმეტესი ნაწილი მათგანი ფეხის ხმას აყოლია; ზოგნი კი სარგებლობენ იმათი მოძღვრებით, რათა განთავისუფლდნენ სამღვდლოების შენახვისაგან, რომელიც რაც დრო გადის უფრო და უფრო უმძიმდებათ. ზოგნი კი საქმე გამოლულენი, ზნეობით დაცემულნი, სარგებლობენ ახლო ვითომ კაცობრიობისათვის სიკეთის მომტანი მიმართულებით, თავს ესხმიან სამღვდლო პირთა, სტარცკამენ, ხოცვენ. ეკლესიებში უცვივიან, წმ. საიდუმლოების ნებას არ აძლევენ და თუ რამ ძვირფასი სამკაული, იტაცებენ; აღარაფერს აღარ ვრი-

დებიან, ოღონდ კი კუჭი გაიძღონ; მათ პირან თვით ტაძრებიც დანგრეონ, თუ რამეს გამოარჩებიან.

ვინ მოიფიქრებდა, ძმაო ჩემო საყვარელო, ამ თუთხმეტეოცე წლის წინათ, თუ ასეთი უბედური დრო დაუდგებოდა ჩვენ სამშობლოს. თუ წინათ საქართველო თათრებისაგან, სპარსელებისაგან და ლეკებისაგან იყო აკლებული, ახლა თვით ჩვენი მომენი ჩვენი სისხლისა და ხორცისანი უაერეს დღეს დააყენებდენ მას. ძლიერ ცუდი დრო დაგვიდგა. ერთად ერთი სარწმუნოება შეგვარჩინა დროთა ვითარებამ, წინაპართა გმირობამ, მათი ვსულდგმულობდით, მითი ვლონლილობდით, ახლა ესეც უნდა გამოგვცალონ ხელიდგან. რაზედლა უნდა იქნეს დამყარებული ჩვენი ისედაც ბედკრული ცხოვრება, რამ უნდა გასწიოს მისი მაგიერობა? განათლებამ? ერთი რომ განათლებას სარწმუნოების ადგილი სავსებით არასადეს და არსად არ დაუკავებია; გამოჩენილი ფილოსოფოსნი, მეცნიერნი მასთანავე ღრმა მორწმუნენი იყენენ; მეორე მხრივ, ესთკვათ განათლებას შეუძლია მაგიერობა გასწიოს და უფრო სასარგებლოც იქნეს, ჩვენ ქართველებს გვაქვს ეს სიკეთე თუ არა? როგორ სიბნელეში სხედან უმრავლესობა ჩვენთაგანი, რამოდენი ათასი და ათი ათასნი მოიპოვებიან, რომ წერაკითხვაც არ იციან. იმათ რომ სარწმუნოება წაართვა, რითილა უნდა ისულდგმულოს, რა უნდა ექნეს მათ მოქმედებას და ცხოვრებას ბურჯათ და ქვეკუთხედად. ეგებ სიმიდრე? არა მგონია სიმიდრემ სარწმუნოების მაგიერობა გასწიოს. სიმიდრე ისეთი რამ საქონელია, რომ დღეს გვაქვს და ხვალ არა. ან და ვინ მოგვეცემს ჩვენ ქართველებს სიმიდრეს? სიმიდრე მაშინ მოიკიდებდა ფეხს ჩენში, ჩვენ რომ განათლებული ვყოფილიყავით და შეგვძლებოდა ღვთისაგან წარგუნევი სამშობლოს სიმიდრით სარგებლობა. მაგრამ ჩვენი უცოდინარობის გამო ყოველმა ხალხმა მოითხო ხელი ჩვენი ქვეყნის სიმიდრით და ჩვენი გულხელდაკრფელნი შეესტკირვიართ მათ. ჩვენზე გაღატაკებულნი, მგონი ერთი ერთი არ მოიპოვება კავკასიაში; რაც რამ გვექონდა, გვებადა, რაც რამ



განცხადება

1905 წლის 14 იანვრიდან

საზოლიტკო და სალიტერატურო გაზეთი

„იპერია“

წელიწადი მეოცეა ცხრე.

ყოველ დღე, ორშაბათობათაზე გადაიბეჭდება ფორმატით, განსჯეულის რეაქციით და ასევე თანამშრომელთა მონაწილეობით.

წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში **36 მილიად 12 ფიზნს** შემდეგის სათაურით: „იერიის ბიბლიოთეკა“.

გაზეთში და სანარკითო წიგნებში იქნება სოლიდესუკათიჟი ბ სხვა-ბ-სსკა ილუსტრაციები

ღსი გაზეთისა: წელიწადში 10 მან. რომლის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: წლის დამდეგს 4 მან., 1 მაისს 3 მან. და 1 აგვისტოს 3 მანეთი, ვინც ნახევარ წლით, ან თვიურად გამოიწერს. უნდა შემოიტანონ ი გვეში თითო მანეთი.

სასაღწო სკალებს მასწავლებლებს, თვით სკოლებს და სასაღწო სამკითხველებს გაზეთი ზრეკამბათიჟი დავთმობთ 7 მანეთად. რბლეუ ნომერი 3 კან.

ფოსტ. ადრ. Тифлиси, редакция „Иверия“ 3—2

გ ვ ი ნ ა რ ს ი

სალიტერატურო განმარტობა: მწარე ღიჭობები სოლის ხუცისა. — თ. სვიტაოლკ-მირსკის გამოთხოვები — ბ. კალმის კრტიმობა. — ჟურნალ-გაზეთებიდან. — ახად ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მშენიარება ძინსტინანობრივ სარწმუნოებასა და კითხლ-წინობაზე. სიტყვა, თქმული თილისის სიონის საკრებ. ტაძარში 14 იანვარს, დეკ. მარკ ტყემალაძის მიერ. — განცხადება.

განმომცემელი გვექონდა წინაპრებისაგან, ყოველის-ვერი ჩვენი უგუნურობისა გამო ხევის ხელში გადადის თან-და-თან. ეგებ ოჯახურმა სიწმიდემ შეგვიჩაახს, ხელი შეგვიწყოს და ოჯახური ბედნიერი ცხოვრებით თავი გავიტანოთ? მაგრამ სადაც სარწმუნოება შეირყევა, იქ ვერა სიწმიდე ვერ შეინახავს თავს. მაშ რაღა დავგრძენია, რამ უნდა გავგაძლებიოს, რაზედ უნდა იქნეს დამყარებული ჩვენი ცხოვრება, რითი უნდა ენუგეზობდეთ? ისევ და ისევ სარწმუნოებით: **«მისევეთ ზარეველთა ზედა ნათესავთა და იხადეთ, ვის ჰრწმუნეს უფლისა და ჰრწმუნეს, ანუ ვინ გეო შაშის შინა მასისა და დაუტევა. ანუ ვინ ხად მას და უგულებელს ჰყო იავა.»** ჯერ სწავლულიც რომ იყო ძმობი ჩემო საყვარელი, დიდი სიმდიდრეც რომ გქონდეს და ოჯახური ბედნიერებითაც იყო დაჯილდოვებული, თუ სარწმუნოება არა გაქვს, ვერასოდეს ვერ იქნები ბედნიერი, თუ ყველა აღნიშნულ სიკეთეს მოკლებული ხარ და ურწმუნოებაც ზედ დავრთობია, რაღა უნდა იქნე, ვერ წარმომიდგენია, რამ უნდა გიშველოს, ვერ გიმიგია. ვინ, ვინ და ჩვენ ქართველებმა სარწმუნოებას ხელი არ უნდა ვუშვათ, უნდა შევიჩინოთ და მითი ვასაზრდოვოთ ჩვენი ხალხი; თუ ამასაც დავაგავთ, სჩანს გადაგვიწყვეტია, ჩვენი ეროვნული ელფერის დაკარგვა, გადაგვარება, გადარჯულება, თავის თავის მოკვლა.

წმიდობა მოციქულთა სწორო ნინო ვევერც ღმერთსა, რათა მან დავეცივას, დავეღვაროს მომავლი უბედურობისაგან. ამინ.

დეკ. მარკ. ტყემალაძე.



რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამბაშიძე
Дозволено цензурою Архимадритъ Георгій 14 февраля 1905 г.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе
Типог. редакціи журн. „Пастыръ“ (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собет. домѣ.